სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N55

ქ. გორი 2023 წელი

ერთის მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ი. მ. მიხეილ ჯაფარიძე (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მიხეილ ჯაფარიძის სახით, ვხელმძღვანელობთ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება**

1.1. შესყიდვის ობიექტის წარმოადგენს - **,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სასმელი წყლის ავზები - CPV 44611500,** დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

1.3. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი N1-ით.

1.4. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **- 9 320.00 (ცხრა ათას სამას ოცი) ლარი,** შესყიდვის ობიექტის ტრანსპორტირების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2. **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები**

2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.**

2.2. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მიწოდება/ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

2.3. მიწოდების ადგილია - გორის მუნიციპალიტეტის სოფელი ატენი, ადმინისტრაციული შენობა.

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს საქონლის ხარისხის ინსპექტირება.

3.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

3.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს - მერის წარმომადგენელი ატენის ადმინისტრაციულ ერთეულში - შოთა ვანიშვილი.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

4.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, მიღება-ჩაბარების გაფორმებაზე და ტექნიკურ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს წარმოადგენენ მე-3 მუხლის 3.3 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ი.
4.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო დოკუმენტაცია.
4.4. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს საქონლის ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატ(ებ)ი.

5. ანგარიშსწორება და ვალუტა

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ეროვნულ ვალუტაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთიანად ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურებამდე, მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ გამოიქვითება ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის გადასარიცხი თანხიდან და მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
5.4. დაფინანსების წყაროა - **2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი;**

6. ხელშეკრულების ღირებულება

6.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრს.
6.2. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
6.3. ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია თუ ამგვარი ცვლილებით იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან/და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ამ წესიდან გამონაკლის წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.
6.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა მიერ ორმხრივად ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

7.2. წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება ხელშეკრულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა, ცვლილების ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, რომლითაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება მდგომარეობა შემსყიდველისათვის დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ფორმდება წერილობითი ფორმით, შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. გარანტია

8.1. მოწოდებული შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ახალი და უნაკლო (ექსპლუატაციაში არ მყოფი).

8.2. შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვე.

8.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ექსპლუატაციის პროცესში რაიმე წუნის (ხარვეზი, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღისა, გამოასწოროს წარმოქმნილი ხარვეზი/დეფექტი საკუთარი ხარჯებით. (შეაკეთოს ან შეცვალოს დეფექტური საქონელი იგივე მოდელის საქონლით (ახალი)).

8.4. შესყიდვის ობიექტის დეფექტის/წუნის/ხარვეზის აღმოჩენის გამო საქონლის შეკეთების ან/და ახლით შეცვლისას ტრანსპორტირების საჭიროების შემთხვევაში, ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა

9. უფლებების გადაცემა

9.1. შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაცემა მესამე პირისათვის.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოიშვა წინასწარ გაუთვალისწინებელი შეფერხება, მაშინ მხარე ვალდებულია ასეთი შეფერხების წარმოშობის მომენტიდან არა უგვიანეს **5 (ხუთი) დღის ვადაში** წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების მიზეზის და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, რის შესახებაც მეორე მხარე არა უგვიანეს **5 (ხუთი) დღის ვადაში** აცნობებს წერილობით პასუხს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

10.2. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეფერხების არსებობისას მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით, რაც დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

11.1. მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

11.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

11.2.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

11.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში წარმოშობილი ყველა გაუთვალისწინებელი გარემოების შემთხვევაში დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს.

11.2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის საზღაური.

11.2.4. დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ზედამხედველობისას აღმოჩენილი დეფექტის/ნაკლის შესახებ.

11.3. **შემსყიდველს უფლება აქვს:**

11.3.1. განახორციელოს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური შემოწმება.

11.3.2. შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

11.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

11.4.1. კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადაში შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

11.4.2. დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ყველა ნაკლი, რომელიც გამოვლენილი იქნება შემსყიდველის მიერ ტექნიკური ზედამხედველობის დროს.

11.5. **მიმწოდებელს უფლება აქვს:**

11.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ს ოდენობით.

12.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

12.3. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისთვის, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს (ხოლო ასეთი, მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს) პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2% - ის ოდენობით

12.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებელი სისტემატურად ან/და უხეშად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა დაუძლეველი ძალის არსებობისას

14.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს და ხელშეკრულების შერულების გარანტიის დაუბრუნებლობას იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით,

14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც არ არის გამოწვეული მხარეთა ბრალეულობით, შეუძლებელია წინასწარ ცნობილი ყოფილიყო მხარეთათვის და რომლის არსებობაც გამორიცხავს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას (მაგ: სტიქიური მოვლენები, ომი, გაფიცვები და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფორს-მაჟორული სიტუაციები).

14.3. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს დაუძლეველი ძალის აღმოფხვრიდან **3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში** წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი ვითარების შესახებ.

14.4. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გრძელდება ერთ თვეზე მეტი ვადით, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. მხარეები უნდა ეცადნონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხზე შეთანხმებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. მხარისათვის შეტყობინების გაგზავნა

16.1. მხარეთა შორის, წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინების გაგზავნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე (შემსყიდველის შემთხვევაში - info@gori.gov.ge; მიმწოდებლის შემთხვევაში - mishajaparidze@gmail.com;).

16.2. შეტყობინება ძალაში შედის მხარის მიერ მისი მიღების დღიდან ან შეტყობინებაში მითითებული ვადიდან.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1. რეზიდენტი და არარეზიდენტი მიმწოდებლები პასუხს აგებენ ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ **მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

19. სხვა პირობები

19.1. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთობა რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე PDF ფაილის სახით, ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან;

19.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიტანება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

20. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
გორის მუნიციპალიტეტის მერია	**ი. მ მიხეილ ჯაფარიძე**
ს/კ 218086087	**ს/კ 59001036594**
მის: ქ. გორი, ფერაძის №5	**მის: გორის რაიონი, სოფელი ატენი**
სახელმწიფო ხაზინა	**ბანკის დასახელება: ს.ს. „თიბისი ბანკი“**
კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
ა/№ 300843460	**ა/ა GE57 TB7694 5450 6330 0012**

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

ი. მ. მიხეილ ჯაფარიძე

Mikheil Japaridze

Digitally signed by Mikheil Japaridze
Date: 2023.06.01 15:47:40 +04'00'

გორის მუნიციპალიტეტის მერია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

მიმწოდებელი: ი. მ. მიხეილ ჯაფარიძე, ს/კ 59001036594

ხელშეკრულება: N-55

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-8 მუხლის ,,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“** შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ღირ.	სულ ღირ. (ლარი)
1	სასმელი წყლის ავზი -ტრანსპორტირებით	• ფორმა: ცილინდრულ-ვერტიკალური; • მოცულობა - 5 000 ლიტრი; • შრეების რაოდენობა - 2; • თავსახურის ტიპი - ხრახნიანი; . ფერი - შემსყიდველთან შეთანხმებით;	ცალი	8	1165.00	9320.00
ჯამი:						**9320.00 ლარი**